

კ @ ვკ ა ზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №2, თებერვალი

ნომრის თემა: გენდერი და ძალაუფლება

სარჩევი

- უზბეკეთი **უმიდა და გულბახორი გისოსებს მიღმა**
როგორც ჩანს, კონსტიტუციას მომავალშიც შეუძლია იძინოს მშვიდად
- ესტონეთი **რატომ არავინ ჭამს საკუთარ ქუდს?**
ეპ, მამაკაცებისა და ქალების წინასაარჩევნო დაპირებების ფასი თითქმის ერთნაირია
- უკრაინა-სერბეთი **არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებმა იუულია გორდანას მოკითხვა**
გადმოგვცეს
- უკრაინა **ნარინჯისფერი ნედო-დემოკრატია**
სწორი დიაგნოზი – მკურნალობის დასაწყისია
- სომხეთი **ქალებზე არ გასცეთ!**
ამ რიგში საკუთარი წესები და საკუთარი მითებია
- საქართველო **მაღალი სავარძლის ჰიპნოზი**
არის, მაგრამ ნისლი იფანტება
- საქართველო **ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში**
მძლოლ-ქალებს ადანაშაულებენ, თუმცა დანაშაულის მტკიცებულება – არავითარი
- საქართველო **ხელკეტები ხელისუფლებაში**
და ჰუმანიზმი მოქმედებაში
- საქართველო **ბავშვობის საშინელი მოგონებანი**
ეძღვნება თეთრხალათიანებს
- თურქმენეთი **ცემა თუ მოფერება – საკითხავი აი, რა არის**
მამაკაცური ძალაუფლების მარიონეტები



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

უზბეკეთი:

საშიში დამნაშავეები გისოსებს მიღმა არიან

და კონსტიტუციურ წყობას შეუძლია იძინოს მშვიდად

უზბეკეთის ხელისუფლებას გისოსებს მიღმა ჰყავს დამწყვდეული სულ ცოტა ორი უფლებების დამცველი ქალი:

უმიდა ნიაზოვა და გულბახორ ტურაევა

უმიდა ნიაზოვა ამასთან ჟურნალისტიკაა. მას ბრალი ედება უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით – „საზღვრის უკანონო გადმოკვეთა“, „კონტრაბანდა“ და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საზიანო მასალების შეგროვება და გავრცელება“.

უმიდა იანვრის ბოლო კვირაში დააპატიმრეს, როცა ბიშკეკიდან ტაშკენტში ბრუნდებოდა. მეზაჟეებმა მის კომპიუტერში მაკომპრომეტირებული მასალები აღმოაჩინეს: უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ანგარიშები. და თუმცა მათი გადმოწერა ინტერნეტიდან ნებისმიერ დროს შეიძლება, სწორედ უმიდას ნოუთ-ბუქში აღმოაჩინა ხელისუფლებამ კონსტიტუციური წყობის საფრთხე. ძირითად ბრალდებას მალე დაემატა ათობით ვარიაცია – ფუნდამენტალიზმის ხელშეწყობიდან 2005 წლის მაისში ანდიჟანში მომხდარი მოვლენების შესახებ „ცილისწამებადღე“.

უმიდას ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების

აღკვეთა ემუქრება.

პროკურატურამ არ დააკმაყოფილა უფლებათა დამცავი ორგანიზაციის „ეზგულიკის“ შუამდგომლობა ნიაზოვას საქმეში დაშვებისა და სასჯელის ზომის შეცვლის თაობაზე. დღეისათვის უმიდა კვლავ დაკავებულია და საგამომიებო იზოლატორში იმყოფება. მისი ახლობლების სიტყვებით, მათ მისი ნახვის არაფითარი შესაძლებლობა არა აქვთ.

ანონიმური წყაროების ინფორმაციით, უმიდა ნიაზოვა მძლავრ მორალურ ზეწოლას და ხანგრძლივ დაკითხვებს განიცდის. არის ინფორმაცია, რომ მას აიძულებენ მიიღოს ფსიქოტროპული ნივთიერებები. წყაროების ცნობით, უმიდა ნიაზოვას საქმეს ეროვნული უსაფრთხოების სამსახური იძიებს. იგი აწარმოებს ნიაზოვას კოლეგების დაკითხვას, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ „ინტერნიუსა“ და „ფრიდომ ჰაუსში“.

„ფრიდომ-ჰაუსი“ მისი სასწრაფო განთავისუფლებისაკენ მოუწოდებს:

„უმიდა ნიაზოვას დაპატიმრება – ეს უხეში და აღმაშფოთებელი მოვლენაა. ქალბატონი ნიაზოვი უფლებათა აქტიური დამცველი იყო და ორგანიზაცია „ფრიდომ-ჰაუსი“ დარწმუნებულია, რომ სწორედ მისი საქმიანობა გახდა მასზე თავდასხმის მიზეზი“, – ამტკიცებს „ფრიდომ-ჰაუსის“ აღმასრულებელი დირექტორი ჯენიფერ ვინძორი. „ცნობილია, რომ უზბეკეთის ხელისუფლება პატიმრებსა და დაკავებულებზე ძალადობას ახორციელებს და ჩვენ ძალიან გვაწუხებს ქალბატონ ნიაზოვას კეთილდღეობა.

დაბეჯითებით მოუწოდებთ აშშ-სა და ევროკავშირის წევრთა მთავრობებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო გამოსვლისაკენ. აუცილებელია უზბეკეთის ხელისუფლებას აშკარად აგრძნობინონ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ იცის ქალბატონ ნიაზოვას დაპატიმრების შესახებ და გულისყურით აღევნებს თვალს მომხდარს“.

უზბეკეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიული რეჟიმის ქვეყნად ითვლება. ანდიჟანის კონფლიქტის შემდეგ უზბეკეთის ხელისუფლებამ მკაცრი დევნა დაუწყო დამოუკიდებელ მედია-საშუალებებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ადამიანის უფლებათა დამცველებს. ორგანიზაცია „ფრიდომ-ჰაუსის“ მიერ 2006 წელს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „თავისუფლება მსოფლიოში“ უზბეკეთმა ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო პუნქტებში „პოლიტიკური უფლებები“ და „სამოქალაქო თავისუფლებანი“.

(„ფრიდომ-ჰაუსის“ 2007 წლის 30 იანვრის პრეს-რელიზი)

ამ დროს გამოძიება გულბახორ ტურაევას თაობაზე გრძელდება

Uznews.net იუწყება, რომ ანდიჟანის ოლქის ეროვნული უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს საგამომძიებო საქმიანობას ანდიჟანელ უფლებათა დამცველ გულბახორ ტურაევას საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალად ედება უზბეკეთის კონსტიტუციური წყობის ხელყოფა. გულბახორ ტურაევას მეუღლის – ფარიდ იანგილდინის ინფორმაციით, ანდიჟანის ეუს-მა მის ცოლს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით – „უზბეკეთის კონსტიტუციური წყობის ხელყოფა“ – წაუყენა.

გულბახორი 14 იანვარს დააპატიმრეს და მას შემდეგ მისი ოჯახის წევრებს არ აძლევენ საშუალებას ნახონ იგი და პირადად დარწმუნდნენ, როგორ გრძნობს თავს, როგორ ეპყრობიან მას პატიმრობაში.

გულბახორ ტურაევა, ექიმი-პათოლოგოგონატომი, 40 წლის დედა ოთხი შვილისა, რომელთაგან უმცროსი მხოლოდ 6 თვისაა, დაპატიმრებული იქნა 14 იანვარს საზღვარზე, როცა ყირგიზეთიდან უზბეკეთში ბრუნდებოდა. საბაჟო გასინჯვისას მის ჩანთაში აღმოაჩინეს 123 წიგნი, რომლებიც ეკუთვნოდა ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის „ერკის“ ლიდერს მუჰამედ სალიჰსა და პოეტ რაუფ პარფის.

(ინტერნეტ-წყარო და „კავკაზიას“ საკ. ინფ.)

ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი უმიდა ნიაზოვას დასაცავად

უმიდა ნიაზოვა ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრში 2000 წლიდან მუშაობს, ხოლო 2005 წლიდან ასევე ცენტრალური აზიის ონლაინ-ჟურნალის „ოაზისის“ წარმომადგენელია. იმავდროულად იგი მუშაობდა „ინტერნიუს-უზბეკისტანში“, ფრიდომ ჰაუსის ოფისში, და ბოლო ხანებში თანამშრომლობდა, როგორც თარჯიმანი, Human Rights Watch-ის ოფისთან. მასთან შეთანხმების გამო ჩვენ არ ვამჟღავნებდით მის სახელს, როგორც თანამშრომლისას, მაგრამ ამჟამად არსებული გარემოებები, მისი თავისუფლებისა და ჯანმრთელობისადმი მუქარა გვაიძულებს განვაცხადოთ ამის შესახებ. მოვითხოვთ უმიდა ნიაზოვას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და მივმართავთ ჩვენს კოლეგებს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ხმა აიმაღლონ მის დასაცავად.

(ცენტრის განცხადებიდან, წყარო: <http://www.cjes.ru/lenta/viewnews.php?id=3506&year=2007&lang=rus>)

რეგიონის ქვეყნებში მოეწყო

უზბეკი სხვაგვარადმოაზროვნეების მხარდასაჭერი აქციები მათი გათავისუფლების მოთხოვნით

ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია „კავკაზია“ სოლიდარობას უცხადებს უმიდასა და გულბახორს. რეგიონის ჟურნალისტთა საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს უზბეკეთის მთავრობისაგან შეუცვალონ სასჯელის ზომა მცირეწლოვანი ბავშვების დედებს. (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტექსტები და ფოტოები პორტატულ კომპიუტერებში – ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საშინელი დანაშაულია).

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ქსელი „კავკაზია“ აგრძელებს ხელმოწერათა შეგროვებას უფლებების დამცველთა გათავისუფლების მოთხოვნით უზბეკეთის მთავრობისადმი.

თქვენი ხელმოწერა შეგიძლიათ დატოვოთ „კავკაზიის“ უკრაინული ჯგუფის მიერ შექმნილ გვერდზე: <http://petition.org.ua/?action=view&id=349>

თქვენ შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ უკრაინულად, რუსულად ან ინგლისურად. ხელმოწერები გადაეცემა უზბეკეთის ოფიციალურ ორგანოებს, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

რუსულ ენაზე პეტიციის ტექსტი შეგიძლიათ ნახოთ ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საიტზე: <http://www.gmc.ge/images/SOSUmidaniazova.html>

მადლობას გიხდით სოლიდარობისათვის

ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერმედიაკავკასია“ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია „კავკაზია“

რუტა პელსი

ესტონეთი

მომენტის ძალაუფლება: არჩევნების წინ

მამაკაცთა და ქაღალთა დაპირებების აღლუმი

რაც უფრო ახლოა არჩევნები, მით უფრო კაშკაშაა ეს შოუ უბედურება იმაშია, რომ გამარჯვებული ქაღალდი, ისევე, როგორც მამაკაცები, სულაც არ ჩქარობენ დანაპირების შესრულებას



მთავარია – სიკაშკაშე და მეტი დინამიკა! არჩევნების შემდეგ ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს ცეკვის შინაარსს.

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

ესტონეთი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. რიგიკოვუს დეპუტატობის კანდიდატთა პორტრეტები ამშვენებს ქუჩებსა და შენობებს, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებს. დედაქალაქის ცენტრიდან ჩემი საძინებელი რაიონისაკენ მიმავალი ყოველდღიურად ჩაფუჭილი ხოლმე გვერდის ქერა ქალბატონების პლაკატების მიღვალა გვლერეას, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენენ, მაგრამ გარეგნულად (როგორც ეს ავტობუსის ფანჯრიდან ჩანს) ცოტათი თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საინტერესოა, რომ ამ რიგში ბოლო ჩვენს რაიონში აქტიურად მოქმედებენ უძრავი ქონების ფირმის პლაკატი აღმოჩნდა ქერა მაკლერი ქალის პორტრეტით, რომელსაც არავითარი კავშირი არჩევნებთან არა აქვს, მაგრამ სილამაზით სულაც არ ჩამოუვარდება იმ ქალბატონებს, რომლებიც პრეტენზიას საპარლამენტო სავარძლებზე აცხადებენ. წინასწარჩვენო დაპირებების წაკითხვა მიმავალი ავტობუსიდან ძნელია, რადგან ძაღვზე წვრილად დაბეჭდილი, მეტი მანძილზე მუქნიშნებთან ახლოს განთავსებულ პლაკატებს, ასევე ავტობუსში გაკრულს. ერთ-ერთ მათგანზე ძაღვზე ოპტიმისტურ მოწოდებას ვკითხულობ: „ნამ მიეცი ცენტრისთვის და ავტობუსი დაიძვრება!“ მეორეზე – „ფულში არ არის ბედნიერება!“ ასე თვლიან, თურმე, უკიდურესად შემარჯვებელი ესტონურ პარტიაში. მესამე პლაკატზე ახალგაზრდა ქერა ქალიშვილის პორტრეტია: „ნამ მიეცი პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას!“ ვეთანხმები, საქმე არის თვისებებზე და დეპუტატისთვის. ეს ახალგაზრდა პიროვნება, როგორც

ჩანს, სწორედ ამის სიმბოლოა. ინტერნეტში ვიხედავი და ვგებულობ, რომ ეს ლამაზმანი მალე 25 წლის გახდება. მას ესტონური სახელი და სომხური გვარი აქვს, დაბადა რუსულ ჩრდილო-აღმოსავლეთში, პოლიტოლოგია, დამთავრა უნივერსიტეტი და დიპლომატიური სკოლა, სპეციალიზებულია ენერგეტიკაზე. რატომღაც უცებ გამანსენდა ელექტროენერჯის ხშირი გამოტოვები, რომლებიც არა მარტო დამით, დღისითაც გვაწუხებდა (და მაშინ ვაი კომპიუტერს...). და ამ დროს სწორედ ლამაზმანის ტელეინტერვიუზე ვხვდები. იგი მეწარმეებისა და შეძლებული ხალხის პარტიას წარმოადგენს, რომლებიც ლიბერალურ ეკონომიკას უჭერენ მხარს. სავსებით დამაჯერებლად საუბრობს, რომ საზოგადოებრივ სექტორში ხელფასების ევროკავშირის დონემდე გაზრდა – ცუდაა; თურმე, თუ მასწავლებლები და ექიმები მეტს მიიღებენ, აუცილებელი გახდება ხელფასების გაზრდა კერძო სექტორშიც. არც ერთი სიტყვა ინფლაციის შესახებ, რომლის გამოც ესტონეთის შესვლამ ევროს ზონაში 2010 წლამდე გადაიწია. თუმცა, მასსოვს, ამ პარტიის ლიდერი, რომლის სახელითაც ეს ახალგაზრდა ქალბატონი იყრის კენჭს, იგივე – ახლანდელი მთავრობის მეთაური, ერთი წლის წინ პირობას დებდა, რომ საკუთარ ქუძს შეჭამდა, თუ 2007 წელს ესტონეთში ევრო არ იქნებოდა. ევრო არ არის, ქუდიც მთელია. ეკ, დემოთმა განსაჯოს ეს პოლიტიკოსები. ახლანდელი ძველებზე არც უკეთესები არიან და არც უარესები. ქაღალდი – არც უარესი და არც უკეთესი მამაკაცებზე. ეს, სხვათა შორის, ამ დღეებში



კარგად გაწვრთნილ ქერას არაერთი სარეკლამო კამპანია წამოუწყვია...

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

ერთმა ყოველკვირეულმა აღნიშნა, რომელიც ტალინის ვიცე-მერზე ოღვა სიტნიკზე (მას ახლასან შეუსრულდა 26 წელი, პასუხისმგებელია კომუნალურ მეურნეობასა და დედაქალაქის გზებზე) კვიამბობდა. რაჭობლაც უცებ სამხინელი საცობები გამახსენდა საცხლოვრებული მიკრორაიონებიდან ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ გზებზე ზაფხულის პაპანაქებაში, მსგავსი ადრე არასოდეს ყოფილა. ახლაც კი, თებერვალში, 20 წუთის ნაცვლად გზას თითქმის ერთი საათი ვუნდები: ესტონეთში, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად მთიოვა.

კიდევ სარეკლამო პლაკატი გამახსენდა ვიცე-მერის პორტრეტით. რა ციურ მანანას არ ჰპირდებოდა იქ სტუდენტ ქალებს, დედებს, პენსიონერებს, თუ ცენტრისტებს მისცემდნენ ხმას! მხოლოდ გათხოვების მსურველი მარტონხელა ქალებისათვის დაავისწყდათ რაიმეს დაპირება. ჩემმა კოლეგამ ეს უცებ შენიშნა, ძალიან განაწყენდა და ხმაძალა განაცხადა, რომ ამის გამო ცენტრისტებს ხმას არასოდეს მისცემს, და რომ მარტონხელა ქალები – ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ცენტრისტები პატივს არ სცემენ.

... ისე კი კარგაა, რომ დებუტატობის კანდიდატთა შორის სულ უფრო მეტი ახალგაზრდა და ქალია. დამეთანხმეთ, რომ ახალგაზრდა ქერების პლაკატების ყურება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე დაბრძენებული მოხუცების სახეებისა. და ახალგაზრდების დაპირებებიც უფრო ოპტიმისტურად ჟღერს. თუმცა, ყოველდღიური ესტონური გაზეთის რედაქტორმა ამ დღეებში აღნიშნა, რომ თავის გამოცემაში არც ერთი პარტიის ინტერესებს არ დაუჭერს მხარს, რადგან არც ერთ მათგანს არა აქვს სტრატეგია, მხოლოდ წუთიერი წინასაარჩევო დაპირებები ამომრჩევლებს. ანუ – მარტო მოჩვენებითობა.

ისე, გასული არჩევნების წინაც დაპირებები ზუსტად ასე ხმაძალა და ოპტიმისტურად ჟღერდა, როგორც ახლა. ახალგაზრდების მხარდაჭერასაც ითხოვდნენ და ქალებისასაც. შედეგად, ახლანდელ პარლამენტში 18% ქალია (არც ისე ცუდია მეზობელ

სკანდინავიასთან შედარებითაც კი). საკმაოდ დიდ ხანს სპიკერის თანამდებობა ეკავა ასტრონომის, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ენე ერგმას, პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს შარშან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ახლა იგი პარლამენტის ვიცე-სპიკერია. მეორე ვიცე-სპიკერიც – ქალია, მარეტ მარიპუუ, წარსულში ტალინის საქალაქო კრების თავმჯდომარე.

ზოგი ქალი-დებუტატი მეტისმეტად აქტიურია და ტრიბუნდან არ ჩამოდის, სხვები ჩუმად არიან. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მათგანი, თავდაცვის საპარლამენტო კომისიის წევრი, რომელსაც არც ერთი სხვომ არ გაუცდენია პარლამენტში თავისი ყოფნის ერთნახევარი ვადის მანძილზე, ერთხელაც არ გამოსულა სიტყვით! მგრამ მისი სახელი ისევ ერთ-ერთი პირველია რიგიეკოგუს კანდიდატთა საში. ესტონეთის მთავრობაში ახლა ორი მინისტრი-ქალია, ერთი სოფლის მეურნეობაზე აგებს პასუხს და უფრო მეტი აქვს ანაზღაურება, ვიდრე პრემიერ-მინისტრს, მეორე – განათლებასა და მეცნიერებაზე. სხვათა შორის, რუსული გიმნაზიების ესტონურ ენაზე გადასვლის ძალზე რთული და მტკივნეული რეფორმითა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებით დაკავებულმა მინისტრმა მაილის რეჰსმა, რომელსაც იანვარში 32 წელი შეუსრულდა, მთავრობის ცოლად გაჰყოლოდა ლამაზ ადვოკატს მეზობელი ლატვიიდან და გაჩინა 2004 წელს ვაჟი და 2006 წელს ქალიშვილი. ორსულს არც ერთი მთავრობის სხვომ არ გაუცდენია, ჩვილი ბავშვით კი სკოლებში დადიოდა და ქუჩის მიტინგებზე გამოდიოდა. მინისტრის თანამდებობა ცენტრისტებმა მას უკვე მეორედ მიანდეს: პირველად იგი განთლებასა და მეცნიერებაზე პასუხისმგებელი 2002-2003 წლებში იყო. ასე რომ, ცოლდა იქნება იმის თქმა, თითქოს ქალებს, მით უფრო ახალგაზრდებსა და ლამაზებს, არ შეუძლიათ ხელისუფლებაში ყოფნა, რომ ამის გამო ისინი ვერ მოიწვევიან საოჯახო საქმეებს. საოჯახოს სწორედ რომ კარგად ავგარებენ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გარდა ესტონეთში ცოტა როდია სხვა ქალებიც, რომლებმაც შესაძლებლად წარმატებებს მიაღწიეს მაღალ თანამდებობებზე პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველაზე გამოჩენილები 24 თებერვალს მიწვეულნი არიან ესტონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე პრეზიდენტთან. მრავალსაათიანი ხელის ჩამორთმევისა და დარბაზში შესვლელობა სახელების ჩამოთვლის პირდაპირ ტრანსლაციას უკვე მრავალი წელია პირველი ადგილი უჭირავს ესტონეთის სატელევიზიო პროგრამებში. ამბობენ, რომ ახალი პრეზიდენტი წელს დროში შეამცირებს ხალხში „პინგვინების შოუდ“ წოდებულ ამ ცერემონიას (ფრანკები მამაკაცებისა, რომლებიც არ არიან მათ სშირად ხმარებას მიჩვეული, მეტისმეტად ჰვავს ამ სასაცილო ფრინველების ბუმბულს). ისე, სამწუხაროა: ჰყვანა უნდა იცნობდეს სახით თავის გმირებს.

ახლა კი, არჩევნების წინ, რომელიც 4 მარტს ჩატარდება, პარტიები ერთმანეთს ევადირებენ თავის სიებში ახალგაზრდა კანდიდატებისა და ქალების რიცხვით. ყველაზე მეტი ქალბატონი სოციალ-დემოკრატებს ჰყავთ. ეს გასაგებია – მათ სოციალურად მიმართული პროგრამა აქვთ. ვინ, თუ არა ქალებმა, უნდა ავონ პასუხი პენსიებსა და დანაშაულებზე, ბავშვებსა და მოხუცებზე. ევროპარლამენტის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა აშკარა გამარჯვება მოიპოვეს, იქნებ, საპარლამენტოშიც გაუმართლოთ? ვილცამ ხომ უნდა დაიცვას სუსტების, ანუ როგორც ახლაა მიღებული, სოციალურად დაუცველების, ინტერესები.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მთავრობაში მეფე ყველა ქალბატონს როდი ახსოვს თავისი პასუხისმგებლობა ამომრჩევლთა წინაშე წინასაარჩევნო დაპირებების დროს. ბევრი არც კი მალავს, რომ პარლამენტში იმისთვის მიდის, რომ ჯერ მაღალი ხელფასი და ყოველგვარი შეღავათები გაინაღლოს, მერე სადებუტატო პენსია. ნამუსიანებს კი პოლიტიკაში უჭერთ ჯა საერთოდ, მთლიანად საზოგადოებაში, რადგან სირცხვილ-ნაშუსი – დევალივირებადი ცნებაა. გამოთქმა, რომ ძალაუფლება აფუჭებს, სულ უფრო მეტ მტკიცებულებას იძენს ცხოვრებაში. თუმცა, ეს მხოლოდ პოლიტიკურ ძალაუფლებას არ ეხება. ფულისა და სილამაზის ძალაუფლებაც – საშიში ძალაა.

გლადიმერ ხანასი

უკრაინა-სერბია

მომენტის ძალაუფლება: არჩევნების შემდეგ

გახდება თუ არა გორდანა პრემიერ-მინისტრი?

წაადგება თუ არა სერბებს უკრაინული გაკვეთილი

ჩვენ ბელგრადში სერბეთის საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ ჩავედით. ჩვენ – ეს უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების მონიტორინგს ვაწარმოებთ. იმ დროისათვის სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა უკვე დაიწყო კონსულტაციები პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან მომავალი მთავრობის შემადგენლობის თაობაზე. პრეზიდენტის პროდასავლური დემოკრატიული პარტია საარჩევნო კამპანიაში გამოდიოდა ლოზუნგით: „ნმა მიეცი, ცხოვრება ვერ დაიციოს!“, ხოლო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვოისლავ კოშტუნციის დემოკრატიული პარტია „ახალი სერბეთი“ (სდა) – „ხალხმა უკეთ იცის!“. პრეზიდენტი წინასარჩევნო რბოლაში ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ მოუწოდებდა, სერბეთის მთავრობის მეთაური კი – ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციისაკენ. ადგილობრივი ანალიტიკოსები ტადიჩს მემარცხენე ცენტრისტს უწოდებენ, კოშტუნციას – მემარცხენე ცენტრისტს, თუმცა მათი პარტიების პროგრამები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. პირველმა პარტიამ 64 მანდატი მიიღო, მეორემ – 47. დემოკრატიულ პარტიებს ერთობლივი ძალისხმევით სამთავრობო კოალიციის ჩამოყალიბების ყველა პირობა აქვთ. პარლამენტის პირველი სესია 25 თებერვალს ჩატარდება. ყველას აფორიაქებს ერთი საკითხი: ვინ გახდება მთავრობის მეთაური? ტადიჩმა განაცხადა, რომ ამ თანამდებობაზე თავისი პარტიის წარმომადგენლის დანიშვნას აპირებს, რაზედაც კოშტუნციამ დიპლომატიურად უპასუხა: „ჩვენ არაფერს ვძალავთ და ველოდებით, რომ სხვა პარტიებიც გამოიჩინენ პასუხისმგებლობას“. რასაკვირველია, კოშტუნციას თანამთავრობის სულაც არ მოსწონთ პრეზიდენტის ჩანაფიქრი თავის პარტიას დაუნარჩუნოს ორივე თანამდებობა – საპრეზიდენტოც და საპრემიეროც. მოლაპარაკების შედეგებს ასევე მოუთმენლად ელის ულტრანაციონალური რადიკალური პარტიის ლიდერი ვოისლავ შეშელიც. პარტიამ 81 სადებუტატო ადგილი მიიღო, ხოლო ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის სოციალისტებთან ერთად მისი კოალიცია 250-დან 91 სადებუტატო ხმას მიიღებს. რადიკალები გამარჯვებისაკენ მიდიოდნენ ლოზუნგით „არ დავთმობთ კოსოვოს!“ იმ შემთხვევაში, თუ დემოკრატები (როგორც ეს მოხდა არა მარტო უკრაინაში, არამედ მიუღ რიგ გარდამავალ ქვეყნებში) ვერ შეთანხმდებიან, სწორედ რადიკალები მიიღებენ უფრო დამაჯერებელი გამარჯვების მანსს.

ასეთ ფონზე ინტერვიუს ვიღებ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილეოსთან და სერბეთის სკუპშინის საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან გორდანა ჩომიჩთან. მიუხედავად მძიმე კოალიციური მოლაპარაკებებისა, იგი ოპტიმიზმითაა სავსე. უკრაინულ დელეგაციას ვერ სერბეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციის შესახებ ვვამბო 2000 წლის შემდეგ. სწორედ არასამთავრობო და პირველ რიგში ქალთა ორგანიზაციების ზეგავლენით დაკვიდრდა სერბეთის კანონმდებლობაში 30%-იანი გენდერული კვოტა. დღეს არსებობს იმის გარანტია, რომ სერბეთის მთავრობაში 30%-მდე ქალი იქნება. მაგრამ რა ეშველება პრემიერის



ჯერჯერობით გორდანა ჩომიჩის კანდიდატურა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო ფოტო ავტორისა

თანამდებობას? შესძლებს ამას ქალი? სერბი კოლეგებისაგან შევითქვეთ, რომ ამ თანამდებობაზე გორდანა ჩომიჩის კანდიდატურას ყველაზე სარწმუნოდ მიიჩნევენ. „პოლიტიკურ პარტიებს არ უყვართ რეფორმირება და, როგორც წესი, საკმაოდ კონსერვატიულ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ამიტომაც საჭიროა რეფორმატორების გამოყენება პარტიის შიგნით, და რა თქმა უნდა, გარედან სამოქალაქო სექტორის ზეწოლა. ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს“ – ამბობს ქალბატონი ჩომიჩი. იგი არც კი განიხილავს მთავრობის ფორმირების კორუფციულ სექტებს. სწორედ მოქმედების გამჭვირვალობა და არა კულუარული შეთანხმებები უნდა გახდეს მისი საფუძველი. თავად ქალბატონი ჩომიჩი ყოველწლიურად წარადგენს თავისი და თავისი ახლობლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს. საინტერესო შტრინი: სახლიდან პარლამენტში და საქმეებზე იგი საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის. განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს ქალბატონი ჩომიჩი გენდერული პოლიტიკის საკითხებს. 2006 წლის ივნისში იგი ხელმძღვანელობდა დემოკრატიული პარტიის სერბ ქალთა ფორუმს, იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქალის უფლებების გამაფართოებელი კანონების – ოჯახის შესახებ და შრომის შესახებ – მიღებისა. 94 მუნიციპალიტეტში შექმნილია სპეციალური კომისიები და მიღებულია ადგილობრივი დასარეგულირებელი აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებს. მიუღ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სერბეთში ჩატარდა დიდი აქცია „ქალთა ხელისუფლება“. გაზეთების, ინტერნეტისა და სატელეფონო განხილვისის მეშვეობით ქვეყნის მაცხოვრებლებს ყოველკვირულად საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ქალთა ხელისუფლება. გორდანა ჩომიჩი აღნიშნავს: „ეს ერთადერთი გზა იყო, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას შეეძლო ლიდერ-ქალთა პოტენციალის გაგება ეროვნულ დონეზე“. სერბი პოლიტიკოსის რწმენით, სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქნენ ქალთა უფლებების ინსტიტუციონალური გაფორმების კატალიზატორად. კოალიციის ფორმირების დროს უკრაინელი დემოკრატების ჩავარდნები გორდანა ჩომიჩისათვის კარგადაა ცნობილი. ჩვენ კი მხოლოდ ერთ რამეს ვუსურვებთ სერბ კოლეგებს: წინდახედულები იყვნენ და ნუ დაბიჯებენ უკრაინულ ფოცსს.

ამ დროს კი უკრაინაში:

ოქსანა რაჩინეცი

დემოკრატიას—ქალი=არადემოკრატიას

მათ ჯერ კიდევ არ ესმით

საკითხის სიღრმე

მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს, თვლის პარლამენტარი ოქსანა ბილოზირი

იანვარში უმაღლესმა რადამ არ განიხილა კანონ-პროექტი საარჩევნო პროცესში ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის თაობაზე კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ზოგიერთმა მამაკაცმა პოლიტიკოსმა ეს იმით ახსნა, რომ მამაკაცთა პარლამენტს, უბრალოდ, ეშინია კონკურენციისა ქალი-პოლიტიკოსების მხრიდან.

როგორ უყურებენ ამ საკითხს ქალები?

გვესაუბრება ჩვენს ქვეყანაში გენდერული საკითხების თითქმის ერთადერთი ლობისტი.



ოქსანა ბილოზირი — უმაღლესი რადას დეპუტატია, საპრეზიდენტო ფრაქცია „ჩვენი უკრაინას“ მეთურის მოადგილე, უკრაინის კულტურის ექსმინისტრი და დღეისათვის მთავარი გენდერული ლობისტი ქვეყანაში.

უმაღლესი რადას პრეს-სამსახურის ფოტო

— პარლამენტმა უარი თქვა მიეღო ცვლილებები, რომლებსაც შეეძლო ქალთა რიცხვის გაზრდა საარჩევნო სიებში, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი პოლიტიკოსების რიგიდულობა, ის, რომ ვერ წვდებიან პრობლემის არსს. ჩვენ უკრაინაში ეს-ესაა ვიწყებთ იმის აღქმას, რა ტრავმები შეიძლება გამოიწვიოს მამაკაცისა და ქალის როლების უთანაბრობამ. ეს არის მასობრივი შრომითი მიგრაცია, რომელსაც 80%-ით ქალის სახე აქვს; ოჯახების ნგრევა; მაწანწალა და ობოლი ბავშვების გამოჩენა ცოცხალი მშობლების დროს; ქალის დაბალი სოციალური სტატუსიც; შრომის ბაზრის დაუბალანსებლობაც;

მამაკაცთა მაღალი სიკვდილიანობაც; ქალების შესაძლებლობათა შეზღუდვაც... ამ პრობლემებზე ადეკვატური რეაგირება ნიშნავდა პოლიტიკასა და ხელისუფლებაში რაც შეიძლება მეტი ქალის მოყვანას. მხოლოდ ეს განიღო შესაძლებელს ჩამოყალიბებულიყო კომპლექსური მიდგომა. სახელმწიფო სამსახურში ყოფნა — ეს არა მარტო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაა, არამედ დამატებითი სამუშაო ადგილებიც, დამატებითი სოციალური გარანტიებიც, რომლებიც შეიძლება მიიღოს ქალმა.

დღეს უკრაინაში ქალთა წარმომადგენლობა ხელისუფლებაში ძალზე დაბალია. 2006 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით უმაღლეს რადაში მხოლოდ 8,2% ქალი მოხვდა. შედეგად უმაღლესი რადას ხუთ კომიტეტს თავის შემადგენლობაში საერთოდ არ ჰყავს ქალი. ეს კი ნიშნავს, რომ უკრაინის მოსახლეობის ქალთა ნაწილს არა აქვს თავისი ხმა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, ეროვნული უსაფრთხოება, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ბირთვული პოლიტიკა, მშენებლობა, ქალაქმშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის საკითხები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. უკრაინის მინისტრთა კაბინეტში არც ერთი ქალი არ არის.

მიუხედავად ამისა, 2006 წელი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ძალაში შევიდა საბაზო კანონი „ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“. ამ დოკუმენტის მიღებით ბევრი უკრაინელი პოლიტიკოსი, რომელსაც ადრე რაიმე „გენდერული პრობლემის“ გაგონებაც კი არ სურდა, იძულებული გახდა არა მარტო მიესმინა, არამედ მისი შესრულების აუცილებლობაც შეეგნო. დაიწყო კანონმდებლობის გენდერული ექსპერტიზა, საოლქო ხელმძღვანელებმა გენდერული თანასწორობისაკენ მოძრაობის „საგზაო რუკების“ შედგენა დაიწყეს. სიტყვათაშენამებამ „გენდერული პოლიტიკა“ თანდათან დაიწყო ექსპერტთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საზოგადოების ლექსიკონებში დამკვიდრება. მეორეც, ერთი წლის მანძილზე ორჯერ მოეწყო საპარლამენტო მოსმენა გენდერულ თემატიკაზე: პირველი — თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების საერთო მდგომარეობის შესახებ, მეორე — ოჯახური ძალადობის პრობლემაზე. მესამეც, ასევე ჩვენი ინიციატივით, უკრაინაში პირველად გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთობლივად მოეწყო საპარლამენტთაშორისო მრგვალი მაგიდა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის საკანონმდებლო პრობლემებზე. მასში მონაწილეობა მიიღეს პარიტეტული დემოკრატიის სტანდარტების განვითარების დონით განსხვავებული 6 ქვეყნის პარლამენტარებმა (ბელორუსის, საქართველოს, ლიტვის, ფინეთის, შვედეთის, უკრაინის).

უკრაინელი პარლამენტარების ინიციატივით წამოყენებული იყო პარიტეტული დემოკრატიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნის იდეა. ჩვენი ჩანაფიქრით, ასამბლეის მუშაობაში ჩართული იქნებიან როგორც ჩვენი ქვეყნების დეპუტატები, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საზოგადოების წარმომადგენლები. მე ამ იდეას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის წევრებს განსახილველად წარუდგენ მომდევნო სხდომაზე.

თამარ ოვნათანიანი

სომხეთი

მანდატის ძალუფლება

ქალბატონო! თქვენ აქ არ მდგარხართ! საპარლამენტო პორტფელების რიგში

„ჩვენი პარლამენტი ყაზარმას ჰგავს“ – ამბობს ეროვნული კრების დეპუტატი ერმინე ნაგდალიანი და მას შეიძლება გაუვგოთ. 7 ქალის დასწრება არავითარ ზეგავლენას არ ახდენს 124 მამაკაცის ქცევაზე. ამ უკანასკნელებს, სხვათა შორის, არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ გენდერული დისბალანსი უარყოფით გავლენას ახდენს პარლამენტის ატმოსფეროზე. მაგრამ, სამწუხაროდ, გულწრფელი აღიარებით ატმოსფერო ეროვნულ კრებაში სულაც არ უმჯობესდება. წინა მოწვევისას აქ მხოლოდ 4 ქალი იყო, რაც დეპუტატთა 3%-ს შეადგენდა. ახლანდელ მოწვევაში – 5,3%-ია ქალი, მაგრამ ამით სიამაყე ვერაფერს გვარგებს, რადგან „ატმოსფეროს გაუმჯობესების“ კუთხით ჩვენ ძველებურად უიმედოდ ჩამოვრჩებით საერთაშორისო მაჩვენებლებს. მაგრამ საქმე მარტო მაჩვენებლებში როდია. რაინდულ მიდრეკილებებს თანამემამულე დეპუტატები, როგორც წესი, მხოლოდ სამ შემთხვევაში ავლენენ. ყოველწლიურად – ქალთა დღესასწაულებთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთში ორია – 8 მარტი და 7 აპრილი, და ოთხ წელიწადში ერთხელ, ზუსტად საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში, ყველა ხერხის გამოყენებით, მათ შორის ქალების დახმარებითაც, ეროვნულ კრებაში მოხვედრილები გულწრფელი გაცხებით აღმოაჩენენ ხოლმე ქალბატონების დეფიციტს. მომდევნო არჩევნების მოახლოებასთან ერთად სინანულის გრძნობას „რაინდები გადიან, ქალბატონები – რჩებიან“ პრინციპზე დაფუძნებული პირადი პოლიტიკური ამბიციები ახშობს. სწორედ ასე ხდება საარჩევნო პარტიული სიების შედგენა.

ვცდილობ გავერკვე პარლამენტისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ დაბრკოლებებში, ვესაუბრები პოლიტიკაში ჩახედულ ქალბატონებს.

ყველა მოწვევის ეროვნული კრების დეპუტატი, ერთ-ერთი მუდმივი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი გრანუშ აკოპიანი:

– აუცილებელი არაა გქონდეს ბევრი ფული. გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ფინანსები, არამედ კანდიდატის ზნეობრივი და პოლიტიკური იმიჯი. ჩემთვის გაუგებარია, როდესაც ქალები, რომლებსაც საზოგადოებისათვის სასარგებლო არავითარი საქმე არ ჩაუდენიათ, დეპუტატობის პრეტენზიას აცხადებენ... ვფიქრობ, მათ კარგად უნდა აწონ-დაწონონ ყველა „კი“ და „არა“, ჰკითხონ საკუთარ თავს, მზად არიან თუ არა ბრძოლისათვის, და მეორეც, რა საქმეებით იცნობს მათ ამომრჩეველი.

ანონიმური მოსაზრება:

– არჩევნები – ეს გარიგებაა, ბიზნესია, თანაც მსხვილი. მსხვილ ბიზნესში კი ქალები არ არიან, ეს, როგორც ცნობილია, მამაკაცური საქმეა. ერთადერთი უპირატესობა, რომელიც ხელთა აქვთ ქალ-კანდიდატებს – ეს მათი ავტორიტეტი, ბიოგრაფია, ამომრჩეველთა პატივისცემა და სიყვარულია. მაგრამ ეს უპირატესობა მაინც მარცხდება ყველა იმ რესურსთან, რომლებსაც ბრძოლაში კონკურენტი მამაკაცები იყენებენ.

კიდევ ერთი ანონიმური აღიარება:

– ეს რომ წესიერი ბრძოლა იყოს, მე ჩემს კანდიდატურას მაჟორიტარული სისტემით წამოვყენებდი.

ლუდმილა არუტუნიანი, სოციოლოგიის პროფესორი:

– მაჟორიტარული ომი – ეს გლადიატორთა ბრძოლაა, ქალი-გლადიატორი კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისტორიას არ ახსოვს.

აღვარდ პეტროსიანი, ეროვნული კრების დეპუტატი:

– მაჟორიტარული ოლქები ქალებისათვის ჩაკეტილია და ნურც ერთი ქალი ნუ დაიკვეხნის, რომ ამ კედელს გაარღვევს...

ეს, საერთო ჯამში, მაჟორიტარულ ოლქებში ქალების თანმდევი წარუმატებლობის საკმაოდ გავრცელებული ახსნაა. ქალებს, როგორც ცნობილია, ეზიზღებათ „ბინძური ტექნოლოგიებისა“ და სასტიკი ბრძოლის გამოყენება. მეორე მხრივ, საარჩევნო პროცესისაგან ჩამოშორებით ისინი საზოგადოებას უკარგავენ შესაძლებლობას შეცვალონ გაბატონებული პოლიტიკური კულტურა.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე სომხეთში ასი დღე დარჩა. ეს დრო პოლიტიკოსებს იმისათვის ეძლევათ, რათა მორიგი ოპერაცია განახორციელონ ეროვნულ კრებაში ადგილების მოსაპოვებლად. მართვის საპარლამენტო ფორმისაკენ გადახრამ, რომელიც გასული წლის ბოლოს მიღებული კონსტიტუციური შესწორებების შედეგად განხორციელდა, მკვეთრად გაზარდა მოთხოვნილება მანდატებზე. ცალკე აღებული ყოველი სადეპუტატო წიგნაკის ფასის ზრდა სერიოზული დაფიქრების საფუძველს ქმნის – მოიძებნება კი ადგილი ქალებისათვის ამ გრძელ რიგში?

როზა კუნალაშვილი

საქართველო

საგარდოს ძალაუფლება

შიში კომპეტენტურობის წინაშე

ჩემზე ჭკვიანი რომ აღმოჩნდეს?



ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

იყო დრო, როდესაც ვარდების რევოლუციამ რაღაც ეტაპზე ქალი-პოლიტიკოსები გააქტიურა. პარლამენტის თავმჯდომარე, 5 მინისტრი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი, მთავარი სახელმწიფო უნუივერსიტეტის რექტორი – ყველა ეს თანამდებობა ქალებმა დაიკავეს. მაგრამ ეს ქალები იყვნენ და... აღარ არიან – რეორგანიზაციის მონაცვლეობის შემდეგ მთავრობაში თითქმის აღარ დარჩნენ. პარლამენტში – 10%-ია. ახლახან ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შედეგად ქალებმა საერთო ჯამში მანდატების 11,5% მიიღეს.

რა მოხდა? ნუთუ უცებ ღირსეული ქალების დეფიციტი წარმოიქმნა? საქმე იმაშია, რომ კომპეტენტური და პროფესიონალი ქალები მამაკაცებს უხერხულობას უქმნიან. მათთან ურთიერთობა მხელია, რაღაც მეტისმეტად პირდაპირები არიან, კომპრომისებზე არ მიდიან. უნდა ასეთი თავის ტკივილი ხელმძღვანელ მამაკაცთა უმრავლესობას? შეიძლება მის ფონზე ბრიყვადაც კი გამოჩნდე. შენთანებს შორის ყოფნა ჯობია.

აი მაგალითიც. ქართულ საზოგადოებრიობას ძალიან აინტერესებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის რუსუდან ლორთქიფანიძის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი. ახალმა ხელისუფლებამ იგი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, მაგრამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. ამბობენ, მისი

გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი განათლების მინისტრის ერთ-ერთი მოთხოვნის კრიტიკული ანალიზი აღმოჩნდა... დირექტივის ნაკლი კი არ გამოასწორეს, კრიტიკა ჩამოაცილეს. მეტისმეტად ჭკვიანი ქალი უფრო დამყოლი მამაკაცით ჩაანაცვლეს. ასეთივე ისტორია მოხდა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაშიც.

ასეთი მაგალითები მრავლადაა ყველა სამთავრობო სტრუქტურაში – როგორც ცენტრში, ისე პროვინციაშიც. დაუსრულებელი რეორგანიზაციები ძალზე მოსახერხებელი მეთოდია არასასურველი ქალების თავიდან მოსაშორებლად. თუმცა – „ბედნიერი შემთხვევებიც“ არსებობს. მანსენდება ერთი ახალგაზრდობისდროინდელი ამბავი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩემმა მეგობარმა მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ უწყებაში. მალე იგი უფროსის მოადგილედ დააწინაურეს. უფროსი მამაკაცი იყო, ძალზე რთული ხასიათით, მასთან მუშაობა ბევრს არ შეეძლო, კადრების დიდი დენაღობა იყო. იგი სწრაფად შეეცადა მთელი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მოადგილისათვის გადაელოცა. მისთვის არ არსებობდა არც დასვენების დღეები, არც შვებულება. მიზეზი – უფროსი ფაქტიურად ვერ ფლობდა სიტუაციას. იგი მთელ სამუშაო დროს პირადი საქმეების მოგვარებას ახმარდა. მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი დიდხანს ყოფილიყო „ხელმძღვანელი“.

ახალგაზრდობაში ჩვენ ხშირად არაადექვატურად ვაფასებთ ჩვენს ბოს-მამაკაცებს. გვეჩვენება, რომ ისინი ძლიერი ხელმძღვანელები არიან. მაგრამ მოგვიანებით, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ნათლად ვხედავთ, რომ უმრავლესობას, სამწუხაროდ, არა მარტო პროფესიონალიზმი, ელემენტარული კეთილსინდისიერებაც კი არ გააჩნია.

georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia kazakhstan tajikistan georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia

დიანა პეტრიაშვილი

საქართველო

თუ ჩავფიქრდებით

სამი ეტიუდი ძალაუფლების შესახებ



ძალაუფლებრივი ურთიერთობებით პირდაპირ გაჯერებულია ჩვენი ცხოვრება. და არა მარტო ჩვენი.

ვოლტ უმიდა ანმელოვასი, უზბეკეთი.

ეტიუდი პირველი: სტერეოტიპის ძალაუფლება

ყველაფრის მიუხედავად, ქალები მაინც საჭეს უსხედან

ამ დღეებში შემთხვევათა ყოველდღიური კრებსი მოვისმინე. როგორც ყოველთვის, პირველ ადგილზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები იყო. ერთი მთვრალი მძღოლი ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. მეორე მთვრალი მძღოლი პირდაპირ მომავალ მატარებელს შეეჯახა. მესამე მთვრალი მძღოლი პოლიციელზე გაბრაზდა და მანქანა ზღვაში გადააგდო. იმ დღის ერთადერთი ფხიზელი გმირი, მიკროავტობუსის ხანდაზმული მძღოლი, ფიქრებში გაერთო და ლიპყინულზე მოცურდა. ასეც ხდება. ყველა მძღოლი – ბიძაა. ყოველ სიუჟეტში – სისხლი, ცრემლები და გინებაა.

გადაცემის ბოლოს კი ავტორებმა ტელემაყურებელს სპეც-სიუჟეტი შესთავაზეს თემაზე: „ქალი საჭესთან“. ეკრანზე ახალგაზრდა პოლიციელი გამოჩნდა და თქვა: – დიდი პრობლემაა, როცა საჭესთან ქალია. ქალებს უფრო ცუდი ორიენტაციის უნარი აქვთ, გულისყური და გამძლეობა აკლიათ. ქალები ... (ქალები – მსოფლიო ბოროტებაა, – მის ნაცვლად დავასრულე ფრაზა).

ის კი აგრძელებდა. საგანგები სერიოზულობით, ხმაში რალაც წყენითაც კი: – ქალს ვერც კი დააკავენ! ის ხომ თითქმის არაფერს აშავებს!

ხმამ კადრსუკან განმარტა:

–თუმცა თავად ქალები არ ახდენენ ავარიებს, ისინი ხელს უწყობენ საავარიო სიტუაციების შექმნას, რომელშიც შემდეგ მამაკაცები ვარდებიან.

აქ მე, როგორც იტყვიან, ლამის მაგიდის ქვეშ შევძვერი. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტის ავტორი ქალი იყო. მან პოლიციელის სიტყვების დასამტკიცებლად ავტომობილების სასაფლაოდან გულისშემძვრელი კადრები წარმოადგინა. და მორჩა – ფარდა დაიხურა. სპეცსიუჟეტი დასრულდა. არც სტატიისტიკა, არც ავარიული სიტუაციების გენდერული განსხვავების შესახებ ბუნდოვანი გამონათქვამის მტკიცებულებანი... უბრალოდ, კიდევ ერთხელ თქვეს ტელევიზიით, რომ „ყველა ქალი სულელია“ – და მორჩა. თემა ამოწურულია.

წარმოიდგინეთ, რომ იმყოფებით, ვთქვათ, ხუთი ქალის კომპანიაში. წარმოიდგინეთ, რომ მოუყევით მათ ანეკდოტი – ყურადღება – საჭესთან მჯდომი ქერა ლამაზ-მანის შესახებ. როგორი იქნება რეაქცია? დიახ, ისინი სიამოვნებით გაიცინებენ სექსისტურ ხუმრობაზე. თავად გაიხსენებენ რაიმეს მსგავსს. ეს ერთგვარი ქალური მაზოხიზმია – ილაპარაკო პერიოდულად: დიახ, აი ასეთი სულელები და მოუხერხებლები ვართ. იმიტომ, რომ, თუ არ დაეთანხმები, დაგკორტნაინ, დაგცინებენ. იტყვიან, რომ შენც ისეთივე ხარ, როგორც „იმ ანეკდოტში“. თუ დაეთანხმები, შენ თითქოს მამაკაცური კომპანიის წევრი ხდები.

მამაკაცურ კომპანიაში ხომ ყველა, როგორც ცნობილია, შეუდარებელია.

გინდ მძღოლი იყოს, გინდ პარლამენტარი.

ეტყუდი მეორე: ხელკეტების ძალაუფლება

სიტუაცია – SOS, რეაქცია – LOL

ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ისჯება ქალაქ ზუგდიდში, დასავლეთ საქართველოში, საქონელი, რომელიც შემთხვევით შეეხებება ქალაქის ცენტრში...

„მესამე თვითნებური გასეირნებისათვის თქვენს ძროხას ადგილზე დახვრეტენ“, – იუწყებოდა სახუმარო სტატიის სათაური. „მამხანაბით შეიარაღებული ნავარჯიშევი ბიჭები ზედამხედველობის სამსახურიდან ცოცხალ სამიზნეებს საკმაოდ ზუსტად ესვრიან“, – დაწერა ხუმარა ავტორმა. თავად ეს სამსახური, განაგრძობს იგი, 2005 წლიდან არსებობს, ანუ იმ დროიდან, როცა ახლანდელი თბილისის მერი ვიგი უგულავა იმ რეგიონის გუბერნატორი იყო, სადაც ახლა ძროხებს ხვრეტენ.

„ადგილობრივ ტელემუშაკებს ისტორიული კადრები აქვთ შემონახული“, სადაც ყოფილი გუბერნატორი იარაღით ხელში დასდევს ქალაქის ცენტრში შემონახულ უზარმაზარ ღორს, – ახდენს გაზეთის ციტირებას „ახალი ამბები-საქართველო“. – „მაშინდელი გუბერნატორი ღორს არაერთი გასროლით გაუმასპინძლდა, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ დაჭრა. ღორს სიცოცხლე უკვე ხელკეტით მოუსწრაფა სირბილისაგან გულამოვარდნილმა ადმინისტრაციის მეთაურმა“

სტატია ერთ-ერთ ქართულ ფორუმზე გამოკიდეს. ვილაც აღშფოთდა – რუსეთში, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს საგანგებო მუხლი ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის შესახებ.

მაგრამ ფორუმის მონაწილეთა უმრავლესობა (ჩემდა სამწუხაროდ) ავტორის ტონით განიმსჯვალა:

– კაცმა იხუმრა, თქვენ კი ტრაგედიას ქმნით.

– ვეგეტარიანელები მსოფლიოში ცოტაა.

– ახლა ზოგო ძროხებისათვის მშვიდობისმყოფელთა მიჩენასაც მოითხოვს.

და სმაილიკები – LOL. ანუ, ხმამალა ვიცინი. სინამდვილეში კი ეს ზომ – LOL კი არა ნამდვილი SOS-ია. სიტუაცია, რომელშიც მსხვილი ჩინოვნიკი გაოცებული საზოგადოების წინაშე ღორს ხელკეტით კლავს, ამ ჩინოვნიკის კომპრომატად კი არ აღიქმება, არამედ ჟურნალისტური ქმნილების ერთ-ერთ დამამშვენებელ ატრიბუტად.

საშინელებაა შეიგნო, რომ ჩვენი ხელისუფლება – ასეთია.

მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა უცებ იმის მიხვედრა, რომ იგი ასეთი – ჩვენს გამოა.

იმის გამო, რომ ჩვენ უკანონობისა და ბრმა სისატიკის შემხედვარე, რატომღაც ვხითხითებთ.

საკმაოდ იდიოტურად და მოღალატურად ვხითხითებთ – ამასთან, საკმაოდ ხმამალა.

უბრალოდ, LOL



...ცხენებისთვის ჯერ კიდევ შეიძლება ქალაქში? თუ უკვე არა? ემანდ არ დაგვხვრიტონ. ორივე.

ავტორის ფოტო

ეტუდი მესამე: მარწუხებისა და სკალპელების ძალაუფლება

ექიმთა შეთქმულება

ჯერ დაუწერელი სერიიდან „ბავშვობის საშინელი მოგონებანი“

ერთი ზედმეტი კბილი მაქვს. თუ არ გვერათ – სტომატოლოგთან წავიდე. ნებისმიერთან, აი, რა მოხდება მის კაბინეტში. ჩამხედავს თუ არა ხახაში, სტომატოლოგი მაშინვე კოლეგებს, პრაქტიკანტებსა და ბადენ-ბადენიდან ჩამოსულ სახელგანთქმულ სპეციალისტს დაუძახებს. და ატყდება დიდი ალიაქოთი.

ოციოდე წლის წინ აღმოჩნდა, რომ ჩემი კბილები მთლად სწორად ვერ იზრდებოდა. და ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვალა. მასში კბილის ექიმები გაჩნდნენ. მე ისინი მსოფლიო ბოროტებად და თავისუფლების ჩამსშობებად მიმაჩნდა. და საშინლად მეშინოდა.

თუ მშობლები დარწმუნებით მოქმედებდნენ („მისმინე, ეს სულაც არ გეტკინება“), ბებია ჩემს მოტყუებას ცდილობდა („ხვალ დეიდა შენთან წავალთ სტუმრად“), რითაც კიდე უფრო მიძიმებდა სულს. ეს ძალზე არასასიამოვნოა:

თანდათან, ისე, როგორც საშინელებაში, მიხვდე – მოზრდილის (ე.ი. ძალაუფლების მფლობელის) გამოხედვით, ინტონაციით, ყესტებით, რომ გატყუებს, რომ არავითარი დეიდა შენა არ გელოდება, არამედ ამაზრზენი და მზაკვარი არსება ცივი ხელებით, რომლებსაც წამლის სუნი ასდით. მოკლედ, რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ ბებია ტაქტიკა შეცვალა:

– აი, გაიზრდები, გახდები ოცი წლის და შეგრცხვება ცუდი კბილების. მაშინ მიხვდები, რა სულელიც იყავი! – მეუბნებოდა გალიზიანებული, – ვერც გათხოვდები: ასეთი კბილების შემყურე რა სილამაზეზე შეიძლება იყოს საუბარი!

მაგრამ არც ამან მიშველა. და მე გავიზარდე ერთგვარი სიამაყის გრძობით ჩემი კბილების გამო, რომლებსაც როგორც უნდოდათ, ისე გაიზარდნენ. და რა რაოდენობითაც სურდათ. ალაგ-ალაგ ორ რიგადაც კი. მოუთმენლად ველოდი იმ დღეს, როცა ოცი წლის გავხდებოდი. წინასწარ ვტკბებოდი იმით, რომ გავუღიმიებდი ჩემს გამოსახულებას სარკეში და ბებიას ვეტყვოდი, რომ ისევ ისე ვამაყობ ჩემი გარეგნობით. ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე ერთი-ორი წლით ადრე თავყანისმცემლებიც გამომიჩნდნენ. მათ ჩემი ყველაფერი მოსწონდათ, კბილებგამოჩენილი ღიმილიც. ზოგჯერ მათ ბებიასაც ვაცნობდი.

მოკლედ, თუ არ მტკიოდა, კბილებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი.

მაგრამ თუ უცებ ამტკივდებოდა...

ეს საშინელება იყო. იმიტომ, რომ კბილის ექიმთან პირველი სტუმრობის დაეიწყება ვერაფრით შევძელი. მგონი, დღემდე არ გამოვჯანმრთელდებულვარ მისგან.

... ხმაურთან დაკავშირებული ალერსიანი აბოლიტიები და ყბახვეული ნაღვლიანი ბეჭემოთები ეხატა. ჩემი აზრით, ეს უმადლესი ცინიზმის გამოხატულებაა – მსგავსი სურათებით გაართო ბავშვი, რომელიც სულ მალე წამების იარაღებს უნდა გაეცნოს. მაგრამ ჩემს მეტი იქ ბავშვი არავინ იყო – ბედნიერები საზაფხულო არდადეგებზე ამ საშინელი ადგილიდან შორს გაემგზავრნენ.



უფალო, შეაგნებინე უფროსებს – ექიმებს, მასწავლებლებს, მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს, უფროსებს და ძმებს – მთელი ის კულტურა, რომელშიც მე ვცხოვრობ, რომ ჩემი პატარა სხეული – მარტო ჩემია! და არა ბებიასი და აბოლიტის.

ვოტო ავტორისა

– ნახე, როგორი სავარძელი გვააქვს. – გააგრძელა სიტყვა თეთრხალათიანმა დეიდამ და პედალს დააჭირა ფეხი, – ახლა ჩვენ ძალიან შორს გავფრინდებით...

მე ზევით ავცურდი ტახტთან ერთად..

– ჩვენ პირდაპირ შენს სახლში, თბილისში გავფრინდებით, – აგრძელებდა დეიდა, თან გულისამრევად აჩხარუნებდა ხელსაწყოებს და მე გავიფიქრე, რომ მართლაც კარგი იქნებოდა ახლა აქედან თბილისში გაქცევა.

– ფლუსი, – დაასკვნა ამ დროს მან, – ჯობია, ამოვიდოთ. იგი ჩემი პირისკენ დაიხარა და კინალამ თავი მომაგლიჯა. სიმწრის ყვირილმა გადაუარა ცარიელ დერეფანს.

აბოლიტიები გაფითრდნენ და ზურგი შეგაკაქციეს. სევდიან ბეჭემოთებს გული წაუვიდათ. ეს იყო ჩემი პირველი შესვლა საბჭოთა მედიცინასთან, რომელიც სავესებით სერიოზულად თვლიდა, რომ ადგილობრივი ანესთეზია ბოროტება იყო. დიდი ამბავი – სარძევე კბილს თუ ამოვუღებთ 5 წლის ბავშვს. იტირებს და დაავიწყდება.

დაავიწყდება?!

ეს საშინელი მოგონება მრავალი წლის მანძილზე მტანჯავდა, როგორც კი სტომატოლოგიურ სავარძელში აღმოვჩნდებოდი. იქ უცებ მახსენდებოდა ბეჭემოთები, მერე ვდგებოდი და ექიმის გაცეხებული მზერის ქვეშ კაბინეტს ვტოვებდი; და სხვათა შორის, სადღაც სულის სიღრმეში მიხაროდა: ასე მოგიხდებათ, თეთრხალათიანებო, – მე უკვე დიდი ვარ და შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც ახლა. და მადლობა ღმერთს ამისათვის.

ბოლოს და ბოლოს, მე მაინც დავძლიე შიში. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მასში ისაა, რომ ყველა ჩემი კბილი მაგარი და ჯანმრთელია. ალბათ, მადლობელნი არიან ჩემი იმისათვის, ყველა შემხვედრს რომ არ ვანდობდი.



კარგია, თუ თოკები კეთილ ხელებს უჭირავთ. თუ არა?

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

აღინა შაპოვალოვა

თურქმენეთი

დესპოტიზმის ძალაუფლება სიყვარულის ძალაუფლება

ძალაუფლება ნიშნით „მინუსი“, ძალაუფლება ნიშნით „პლუსი“

საშინელი ზღაპარი ბედნიერი შუა ნაწილით,
თუმცა – ყველაფერი არც ისე მარტივია

ოჯახური დესპოტიზმი თურქმენეთში ხშირად ჩამოყალიბებული ტრადიციებით მართლდება. ქალიშვილს ათხოვებენ, იღებენ ურვადს და ამ წუთიდან იგი ქმრისა და მისი ოჯახის საკუთრება ხდება. და რაკი საკუთრებაა – რაც გინდა, ის უყავი... თავდასაცავად ქალს ახლობლების იმედი არა აქვს. 10-დან 9 შემთხვევაში მას ძალად დააბრუნებენ ქმრის ოჯახში. პოლიციაც უხალისოდ იძიებს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებს. განსაკუთრებული როლი შეეძლო ეთამაშა საზოგადოებრივ ცენტრებს, თავშესაფრებს – მაგრამ თურქმენეთში მსგავსი არაფერი არსებოს. საყოფაცხოვრებო ძალადობის მსხვერპლთა ხსნა აქ თავად მსხვერპლთა ხელით შეიძლება... და კიდევ შემთხვევის საქმეა.

უკვე მერამდენე დღეა იმედით ვხსნი ჩემს ელექტრონულ ყუთს, მაგრამ წერილი, რომელსაც კარგა ხანია ველი, არ ჩანს. ნეტა რას აკეთებს იგი იქ, თავის ინგლისში?! ნუთუ ძნელია, დაწერო, რომ ყველაფერი წესრიგშია, რომ ვმუშაობ, ქმარს ვუვლი, რუსულ წვნიანსა და თურქმენულ ფლავს ვაშხადებ? არა, დუმს. ალბათ, როცა ბედნიერება უხვადაა, ურთიერთობის სურვილი გეკარგება, შემთხვევით რომ არ გაგებნეს.

მე და ტანია ერთმანეთს უკვე 15 წელია ვიცნობთ. მხიარული, მოტიტინე, დაუფიქრებლად გასცემს პასუხს ყველაფერს, ნებისმიერს აჯობებს კამათში! მისი საყვარელი საქმიანობა ყოველთვის იყო სტუმრების მიღება. ქეიფი, გამასპინძლება – მისი ჰობია. განა ბევრი მოიძებნება ჩვენს დროში ადამიანი, ვისაც ასეთი ჰობი ჰქონდეს? ისინი, ვინც ტანიას შორიდან იცნობდნენ, მას ბედნიერ ადამიანად თვლიდნენ, რატომაც არა, თუ ლამაზია, მაღალი, წარმოსადეგი, მუდამ კარგ განწყობაზე, ორი ორმეტრიანი ვაჟაკის დედაა... მაგრამ მხოლოდ ყველაზე ახლობლებმა იცოდნენ, რომ ტანია სულ უფრო ხშირად ფარავდა კოსმეტიკით ჩალურჯებულ თვალებს, თითქმის ყოველ თვე ათევდა ღამეს რომელიმე მეგობართან. ერთხელ კი ფუთით ხელში ჩვენს კარზე დარეკა და ცრემლების ყლაპვით მთხოვა:

– დამეხმარე ბინის შოვნაში – სახლიდან წამოვედი... ამირი რომ არამზადა იყო, ჩვენ, ახლო მეგობრები, კარგა ხანია, ვხვდებოდით, მაგრამ მტარვალიც თუ იქნებოდა –

არც გვიფიქრია. ტანია გვიამბო, რასაც ამდენი ხანი ყველას უმაღლავდა. ამირი თურქმენული ოჯახიდან იყო, სადაც აბსოლუტური მამის კულტია. და არა მარტო მამის, ტირანი-მამის, რომელიც სრულ მორჩილებას ითხოვს ცოლისა და ვაჟებისაგან.

– ერთხელ, გათხოვების პირველ თვეებში, – გაიხსენა ტატიანამ მეხუთე ფინჯანი ყავის შემდეგ, – ოთახში შევედი და დავინახე, რომ ჩემი დედაპოლი ფეხებს ჰბანდა ქმარს. მამამთილმა დამინახა თუ არა, თითოთ მიმიხმო: თითქოს მაჩვენა და მიმითითა – შენც ზუსტად ასე უნდა გაუკეთო ამირსო.

ამ დროს დედაპოლი ფეხებზე სუფთა წყალი გადაავლო, მაგრამ, როგორც ჩანს, ოდნავ ტემპერატურა ვერ გათვალა. მამამთილმა წამოიფვირა, მთელი ძალით გარტყა ქალს სახეში, მერე კი ტაშტი აიღო და თავზე გადაასხა.

95 წელს რამდენიმე აქტივისტმა ქალმა გადავწყვიტეთ, გავერთიანებულიყავით და ქალაქში ქალთა ინიციატივების ცენტრი გაგვეხსნა. პირველ რიგში, გვინდოდა მოგვეძებნა შესაფერისი შენობა და მოგვეწყო მასში თავშესაფარი ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და უქმროდ დარჩენილებული ქალიშვილებისათვის. სავარაუდოდ, მომავალი დედა უნდა დაგვერწმუნებინა შეენარჩუნებინა ბავშვი და თავად აღეზარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – პატარისათვის სიცოცხლე მიენიჭებინა და შემდეგ კანონის შესაბამისად გაეფორმებინა ოფიციალური უარი.

ჩვენს გეგმებს განხორციელება არ ეწერა. როგორც კი საქმე საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე მიდგა, ჩვენ რბილად, მაგრამ დაჟინებით გავგვარებინეს, რომ თურქმენებს ის მენტალტიტეტი არა აქვთ, რაღაც თავშესაფრები მოაწყონ ქალებისათვის. რადგან მათი აზრით, ასეთი საკითხები რაღაც ცენტრებმა კი არ უნდა მოაგვარონ, არამედ ოჯახმა, უკიდურეს შემთხვევაში კი სამართალდამცავმა ორგანოებმა...

როცა ჩემი მეგობარი ტანია მომადგა ღამით ფეხშიშველი, დახეული ღამის პერანგით და ჩალურჯებული თვალით, ჩვენი გეგმები გამახსენდა. რომელ ოჯახში უნდა მოგვარებულიყო ტანიას პრობლემები, თუ დედა მან 12 წლისამ დაკარგა, მამა კი – ოდნავ გვიან? თუ მის ახლანდელ ოჯახში, სადაც მახინჯმა ქმარმა ბიჭები მეზობელ ოთახში ჩაკეტა, თვითონ კი მათ დედას შავ დღეს აყრიდა? რისი გაკეთება შეეძლო პოლიციის ასეთ „ჩვეულებრივ“ შემთხვევაში, როცა ქმარმა ცოლი ცემა? ვინ არ ცემს ცოლს აღმოსავლურ ოჯახებში?

საცხოვრებელი მაშინ გამოვუძებნეთ. ამირი 4-ოთახიან ბინაში მარტო დარჩა, ცოლს არაფრის წადების უფლება არ მისცა. უფრო მეტიც, ქალს კარგად უნდა დაეფარა თავისი ადგილსამყოფელი. მაგრამ იმ დღეს ამირმა მიაგნო. და ბინაში სწორედ იმ დროს მივიდა, როცა გახსურებული ქეიფი იყო – უმცროს ვაჟს ჯარში აცილებდნენ. არავინ იცის, რა მოხდებოდა, გვერდზე ოლეგის მეგობრები რომ არ ყოფილიყვნენ. 18 წლის ბიჭებმა მია ამირი პირდაპირ დაარეტიანეს და ლიფტით ჩაუშვეს მეექვსე სართულიდან. მაშინ აშკარა გახდა, რომ ტანიას ადგილი უკვე არც ამ ქალაქში და არც ამ ქვეყანაში არ იყო. „იცოდეთ, მე შენ მფავას გადაგასხამ!“ – დაუძახა ქმარმა ქალს ლიფტიდან.

ვიდაცას აზრად მოუვიდა ტანიას ფოტო გაცნობის საიტზე განეთავსებინა. ღუნკანი პირველი გამოეხმაურა და თან იმავე დღეს, როგორც კი ფოტო გამოჩნდა. „60 წლის ინგლისელს, მართლხელას, ყოფილ ზღვის მგელს სურს იპოვოს მონათესავე სული, ვისთან ერთადაც წვიმიან ამინდში ხელიხელჩაკიდებული შეძლებდა სეირნობას“. გვაცნობა, რომ ჩვენ ტანია ნახვისთანავე მოეწონა. მალე დარეკა, მერე მოწვევა და ბირმინჰემში ჩასასვლელი ავიაბილეთის ფული გამოაგზავნა. ტანია ასეთი სწრაფი გაცნობის აბსურდულობის შესახებ არავისი არგუმენტები არ მოიხმინა, სამ

დღეში გააფორმა ვიზა, აიღო ბილეთი და წავიდა! მათმა პირველმა ერთობლივმა ზარმა ბედნიერებით გაგვაოცა. სანამ ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ ყურმილს და რიგ-რიგობით გველაპარაკებოდნენ, ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნეტავ ეს გიჟები თექვსმეტი წლისანი ხომ არ არიან-მეთქი. ტანია სამი კვირის შემდეგ დაბრუნდა უკან. აბა, რა ქენი, სეირნობლით ხელიხელჩაკიდებულები წვიმაში? მან სიცილით დამიდასტურა: თითქმის ყოველ საღამოს! ღუნკანმა მას ოფიციალურად სთხოვა ხელი, თან უთხრა, რომ სახლს იყიდდა, რათა ტანიას ნამდვილ დიასახლისად ეგრძნო თავი, და არა სტუმრად მის ბინაში. ქორწილი ინტერნეტში პირველი შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ გადაიხადეს. „მე არც ისე ბევრი დრო მაქვს, – განმარტა ასეთი სისწრაფე ღუნკანმა, – ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა მოვასწროთ ამ ცხოვრებაში“.

„იცი, – მომწერა ერთ-ერთ თავის წერილში ტატიანამ, – მე სავსებით მის ტყვეობაში ვარ, თითქოს გავითქვიფე მასში! მაგრამ რაც არ უნდა უცნაური აღსაქმელი იყოს, ეს ძალაუფლება მე მხოლოდ სიხარულს მანიჭებს. ალბათ იმისთვის, მას რომ შეგხვედროდი, ყველაფერი ეს უნდა გადამეტანა და მომეთინა“.

...ახლანან ამირს პირისპირ შევეჯახე. მან წამისისინა: “მძულხართ ისიც, შენც და ყველა თქვენ!” დასრულდა მისი ბატონობა და – ისიც ბრაზობს.

მე კი ხელახლა ვამოწმებ ფოსტას. ა-რა-ფე-რი! ალბათ, ინგლისში თოვლია და ისინი თხილაპურებით სასეირნოდ წავიდნენ. ან იქნებ, ხელიხელჩაკიდებულები სეირნობენ.



ისწავლო უთოკოდ სიარული! რაც არა უნდა თქვა, ეს ყველაზე საიმედო გარანტიაა

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:

გალინა პეტრიაშვილი (რედაქტორი), საქართველო;
რუტა პელსი, ესტონეთი;
ვლადიმერ ხანასი, უკრაინა;
ოქსანა რაინინეცი, უკრაინა;
თამარ ოვნათანიანი, სომხეთი;
როზა კუხალაშვილი, საქართველო;
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
აღინა შაპოვალოვა, თურქმენეთი

ფოტო:

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო;
ვლადიმერ ხანასი, უკრაინა;
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი;

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კავკასიას“ ქართული ვერსია
გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

გენდერმედიაკავკასია

GMC

www.gmc.ge

<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 77 60 18; (995 99) 90 11 24
galapet@ip.osgf.ge გალინა პეტრიაშვილი
cicoju@rambler.ru ციცინო ჯულუხიძე